



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბოკერია ლევან ალექსანდრეს ძე

ბოკერია ლევან ალექსანდრეს ძე (დ. 12. VIII. 1944, თბილისი), არქიტექტორი. დაამთავრა საქართველო პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1967). 1965-იდან მუშაობდა „თბილქალაქპროექტი“-ში, 1983-იდან არქიტექტორი. სახელოსნოს ხელმძღვანელი. 1989-იდან საქართველო არქიტექტორთა კავშირის რედაქტორი. გაერთიანება „საქარქპროექტის“ მთავარი არქიტექტორი, 1991 – 95 საქართველო არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე. ძირითადი ობიექტები: ბაიკალ-ამურის რკინიგზის მაგისტრალზე დაბა ნიას დაგეგმარება და განაშენიანება (1970 – 80-იანი წწ. ვ. ბახტაძესთან, ვ. ქურთიშვილთან ერთად; სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია, 1983; ავტორთა, მშენებელთა, ორგანიზატორთა ჯგუფთან ერთად), თბილისში ჯორჯიაშვილის ქუჩაზე გამოთვლითი ცენტრისა (1983, გ. ანდლულაძისა და ზ. ფილიშვილის მონაწილეობით) და ბანკის (1983; ა. არიშინის მონაწილეობით) შენობათა კომპლექსი და სხვ. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ს.
კინწურაშვილი
